ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შეხვედრის

სხდომის ოქმი N 2

ქ. ბოლნისი

20.03.2015 წ

სხდომას ესწრებოდნენ: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელის პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი; ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ეროდი უგრეხელიძე; ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი კონსტანტინე კორძაძე; ინფრასტრუქტურის განვითარების სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ნიკოლოზ გობეჯიშვილი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - გიორგი რეხვიაშვილი;შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - პაატა გოგშელიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი .

სხდომის დღის წესრიგი:

1.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პაატა გოგშელიძისა და გიორგი რეხვიაშვილის მიერ წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ადაპტირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმის განხილვა.

სხდომას მოახსენეს:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პაატა გოგშელიძემ და გიორგი რეხვიაშვილმა საბჭოს წევრებს წარმოუდგინეს გეგმა, რომელიც მოიცავდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა იმ შენობა-ნაგებობის (საჯარო სამსახურები, კერძო ობიექტები, კულტურისა და დასვენების პარკები, და სხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილები) ჩამონათვალს, რომელიც საჭიროებს პანდუსირებას, ლიფტებისა და სველი წერტილების ადაპტირებას. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ საბჭოს წევრებთან ერთად ჩამოაყალიბა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესი ობიექტები, რომლებიც საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან, მისი ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. ეს ობიექტებია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი სახლები, ტროტუარები, საჯარო სამსახურები,კომერციული ობიექტები, ეკლესიები და სხვა.

სხდომაზე გადაწყდა:

1.საბჭოს წევრებმა კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პაატა გოგშელიძემ და გიორგი რეხვიაშვილმა გამოთქვეს ინიციატივა, მომავალ სხდომაზე წარმოადგინონ ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა, მათი საცხოვრებელი მისამართების მითითებით;

2.მომავალ კვირაში წარმოდგენილი ზემოხსენებული ინფორმაციის მიხედვით დაიგეგმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი სახლების პანდუსირებისათვის გასატარებელი ღონისძიებები;

3.საბჭო შეიკრიბება მომავალ კვირას.

სხდომის თავმჯდომარე: ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის

პირველი მოადგილე დავით შერაზადიშვილი